№ 51
სამშაბათი, 6 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 51
სამშაბათი, 6 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

4 მარტს თელავის ფერისცვალების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა
პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის ქ კავკავში

მაიკო ჩითაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც იოსებ და მისი მეუღლე ჩითაშვილნი, ბიძაშვილნი და ნათესავნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებულის შვილებს.
(1—60—1)

გამოვიდა ახალი წიგნი

სპარტაკი,

რომანი ჯიოვანიოლისა, თარგმანი ნ. ყიფიანისა. წიგნი „ქართ. შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება. ღირს სამი აბაზი. (3—55—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძლიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მკურნალი-ქალი

მ. ს. ბაქრაძე

ნაშუადღევის 1-დგან 2 საათამდე ავადმყოფს ბავშვებს ყოველ-დღე იღებს.

ელისაბედის ქ., სახლი № 25.
(10—5,—9)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: ზემო აკულისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი ნაპოლეონ ხვათაძე იგდირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელედ.

გამწესებულ იქმნენ: მეშიკნები: პეტრე პაატაშვილი შულავერის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელედ და იონა ციგნაძე დელიჟანის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა: ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გერასიმე ხელიძე ზემო-აკულისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან იგდირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ნიკოლოზ ჯაბიძე.

ებოძათ პოდპოლკოვნიკობა: მისის უდიდებულესობის ერევნის მე-13 ლეიბ-გრენადერთა რაზმის კაპიტანს კიკნაძეს; მე-8 კავკასიის მსროლელთა ბატალიონის კაპიტანს კვანჩხაძეს; თავადის ციციანოვის განჯის მე-156 რაზმის კაპიტანს თავ. მაყაშვილსა და ყარსის მეციხოვნეთა ქვეითა რაზმის კაპიტანს მრევლიშვილს.

ახალი ამბავი

⁂ პეტერბურგიდგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „პეტერბურგის ქართველობა გულითა და სულით სწუხს სახალხო მგოსნის ბიძიას რაფიელის გარდაცვალებას, იმ მგოსნისა, რომელმაც აგრე შეაქო სამშობლო ხევსურისა, პირველად ჩაიხედა ხალხის გულში, იმის დღევანდელ საჭიროებისათვის აალაპარაკა თავისი მადლიანი კალამი და რომელიც ყოველ სამშობლო საქმეს მთელ თავის სიცოცხლეში სიყვარულითა და დიდის მზრუნველობით ეკიდებოდა. გთხოვთ, ჩვენი მწუხარება შეუერთოდ მთელ საქართველოს მწუხარებას“.

⁂ კვირას, 4 მარტს, ქართველმა საზოგადოებამ, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის, თავ. დ. ზ. მელიქიშვილის მეთაურობით, ვერაზედ, ბაღში გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ტფილისის სახაზინო პალატის მმართველს ბ-ნს ივანე ვასილის ძეს ვერეტენნიკოვს. სადილზედ მიწვეულნი იყვნენ: ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, ვიცე გუბერნატორი. ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ე. პ. ნიმანდერი, ბ-ნი ნ. ა. სულთან-კრიმ გირეი, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი ს. პ. ბეკი, ტფილისის სახელმწიფო ბანკის გამგე დ. ტ. ნიკიტინი და სხვათა დაწესებულებათა უფროსნი. სადილს 120-მდე სული დაესწრო. ლხინმა დიდხანს გასტანა. ლხინის დროს უკრავდა ზურნა, საზანდარი და სამხედრო მუსიკა. პატივცემულს ივანე ვასილის ძეს ვერეტენნიკოვს, რომელიც ტფილისიდგან ხარკოვშია გადაყვანილი, რამდენიმე სიტყვა უთხრეს სადილზედ დამსწრეთ და მადლობელ-ყოფილნი გამოეთხოვნენ. სადილზედ წარმოითქვა დამსწრეთაგან ბევრი სიტყვა, რომელთა შორის მშვენიერმა გულმხურვალემ სიტყვამ ბ-ნ შარიგინისამ გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის ცემა.

⁂ 6 მარტს, ყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის სადგომში შესდგება კრება მცხეთის საკრებულო ტაძრის აღმადგენელ კომიტეტის წევრებისა. კრებას დაესწრობა მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე ქნი პ. ს. უვაროვისა. კრება საღ. მოს 8 საათზედ დაიწყება.

⁂ 2 თებერვალს ქ. განჯაში გამართულ საღამოს შემოსავალი ჰქონდა 331 მანეთი 79 კაპეიკი. აქედგან 231 მანეთი 77 კაპეიკი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ გადაუდვიათ, ხოლო 100 მანეთი „დრამატიულ საზოგადოებისათვის“.

⁂ ფინანსთა სამინისტროს მოხსენება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ ხაზინის სასარგებლოდ დამატებითი გადასახადი გაეწეროს, ფუთზედ $^{1}/_{2}$ კაპეიკი, იმ საქონელს, რომელსაც ფოთის ნავთ სადგურში გადასტვირთამენ ან დასტვირთავენ. ეს გადასახადი იმ ხარჯის დასაფარავად იქმნება გაწერილი, რომელსაც ხაზინა ფოთის ნავთსადგურის მოსაწყობად ეწევა. სულ, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ხაზინა ამ საქმისათვის ჰხარჯავს 2,900,000 მანეთს.

⁂ კვირას, 4 მარტს, ტფილისის ზოგიერთ ეკკლესიში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი საერო განათლების მინისტრის ნ. პ. ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად.

⁂ დღეს, 6 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია ცნობილი საქმე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფის ნიკოლოზის, სოლომონისა და სხვ. ორჯონიკიძეებისა, შოშიტაიშვილისა და სხვათა, რომელთაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, ჰბრალდებათ 1898 წელს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან იგდირის ხაზინაში გასაგზავნ 50,000 მან. მოპარვა.

⁂ კვირას, 4 მარტს, ტფილისის ვაჭართა საზოგადო კრებაზედ ვაჭართა სტაროსტის ამხანაგმა ბ-ნმა ალიბეგოვმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ბ-ნ დავიდოვის 25 წლის სამსახური სტაროსტის თანამდებობაში რაიმე კეთილის საქმით იქმნას აღნიშნული, სახელდობრ ტფილისის საკომერციო სასწავლებელში დაარსებულ იქმნას სამი სტიპენდია ვაჭართა საზოგადოების საფასით. კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა ასეთი სტიპენდიების დაარსება, ხოლო მის განსახორციელებლად ამ საკითხის შემუშავება მიანდო 7 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომლის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი თაიროვი, მილოვი, წოვიანოვი, კაფიევი, ალიბეგოვი, ცატუროვი და აკოფოვი.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში ვაჭართა სტაროსტის ბ-ნ დავიდოვის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ქალაქის ვაჭართა საზოგადოებას, რომელზედაც 41 წევრი დაესწრო. კრებამ პირველად განიხილა საზოგადოების წარსული წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, საზოგადოებას სხვადასხვა წყაროებიდგან შემოსავალი ჰქონია სულ 193 ათას მანეთამდე, ხოლო წლის განმავლობაში სხვა-დასხვა წყაროებიდგან შემოსვლია სულ 12,000 მან. ხარჯი-კი 26,800 მანეთამდე. კრებამ შეუცვლელად დაამტკიცა როგორც წარსულის წლის ანგარიში, ისე ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ორი სამი წვრილი საქმეების განხილვის შემდეგ საზოგადოება შეუდგა ვაჭართა სტაროსტისა და მის ორი ამხანაგის არჩევანს; სტაროსტად თითქმის ერთხმად ამორჩეულ იქმნა გ. ა. დავიდოვი, ხოლო მის ამხანაგებად ისევ ალიბეგოვი და აკოფოვი. ამავე სხდომაზედ, ტფილისის სახაზინო პალატის წინადადების თანახმად, ამორჩეულ იქმნენ სამ-წლიანი გარდასახადის საზოგადო საკრებულოში ვაჭართა დეპუტატებად ფრიდონოვი, წოვიანოვი და ალიბეგოვი; ამავე გარდასახადის პირველ გამწერ საკრებულოში: გულიევი და აივაზოვი, ხოლო მეორე საკრებულოში—ავეტისოვი, კულიბეკოვი, ნახშუმოვი და სარიევი; სარევიზიო კომისიის წევრებად დარჩნენ ისევ ძველი წევრები.

⁂ საერო განათლების სამინისტრო ამ ჟამად ადგენს თურმე ახალს დებულებას ამიერ-კავკასიის სკოლებისას იმ განზრახვით, რომ უფრო რიგიანად დააყენოს მაჰმადიანთა შორის სწავლა-განათლების საქმე.

⁂ ბესსარაბიის გუბერნიის ორგეევის მაზრის 200 მცხოვრებს განუზრახავთ კავკასიაში გადმოსახლება.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატის მმართველად ნამყოფ ი. ვ. ვერეტენნიკოვის თანამოსამსახურეთ განუზრახავთ ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სტიპენდია დააარსონ ბ-ნ ვერეტენნიკოვის სახელობაზედ.

⁂ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის დირექტორს გლასეკს წარუდგენია კავკასიის სამეურნეო გამოფენის დროებით გამგე კომიტეტისათვის სია იმ დაწესებულებათა, რომელთაც სასურველია, რომ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ. სიაში მოხსენებულია, სხვათა შორის, მიწად-მოქმედების სამინისტროს ბიურო (სამეცნიერო კომიტეტი), ნიკოლოოზის მთავარი საფიზიკო ობსერვატორია და სხვა. კავკასიის სამთო გამგეობასაც წარუდგენია სამეურნეო გამოფენის დროებით გამგე კომიტეტისათვის სია იმ კაცთა, რომელთაც სასურველია მონაწილეობა მიიღონ მომავალ გამოფენაში ექსპონატების გამოგზავნით.

ამ სიაში მოხსენებულია, სხვათა შორის: ალავერდისა, უზურჩაისა, კადბეგისა და ვალავენდის სპილენძის ქარხნების პატრონები, „ტყიბუ-

ლის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“, ბაქოს ნავთის მწარმოებელნი, შორაპნის შ ვი-ქვის მწარმოებელნი და სხვანი.

⁂ დღეს, 6 მარტს, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია რამდენიმე მიმდინარე საქმე.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, უმართებულესმა სენატმა გააუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლი სამართლის დეპარტამენტის გარდაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც თავ. ბარათაშვილსა, ტუსიშვილსა, ტერშმოვანოვსა და ოსიტაშვილს გაბაშვილის მოკვლისათვის მიესაჯათ ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ბარათაშვილსა და ტერშმოვანოვს ტომსკისა, ხოლო დანარჩენთ ტობოლის გუბერნიაში გარდასახლება და დაავალა ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტს ხელმეორედ განერჩია ეს საქმე ბრალდებულთათვის სხვა სასჯელის გარდასაწყვეტად. სამოსამართლო პალატამ გუშინ, 5 მარტს, განიხილა ეს საქმე, ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევით ბარათაშვილსა და ტერშმოვანოვს გარდაუწყვიტა სამის წლითა და ნახევრით, ხოლო ტუსიშვილსა და ოსიტაშვილს 2 წლითა და ნახევრის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

⁂ ორშაბათს, 5 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრებთა იაკობ მენადარაშვილისა და მიხეილ სტეფანოვისა, რომელთაგან მენადარაშვილს ბრალდებოდა ტფილისის მოვაჭრის თამამშევის მუხრანსკის ქუჩაზედ 1900 წლის ნოემბერში დუქნის მარგებლის გასადებით გაღება და იქიდგან 300 მ. მეტის ღირებულობის ნივთების წაღება, ხოლო სტეფანოვს ამ ნივთების მიღება და დამალვა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივენი და გარდაუწყვიტა მენადარაშვილს ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა, ხოლო სტეფანოვს სამის თვით ციხეში დაპატიმრება.

⁂ „ცნ ფურ.“ სწერს: „ოზურგეთის ქალაქის წარმომადგენელნი მეტად შეწუხებულნი არიან საარჩევნო უფლების შემცირებისა გამო; მეორე არჩევნების დროს ქალაქის რწმუნებულთ ითხოვეს დრო მოფიქრებისათვის, რომ მცხოვრებთა სურვილის შესაფერი ქალაქის მოურავი მოეძებნათ. საგუბერნიო ადმინისტრაციამ-კი თავის ნებით დანიშნა აურჩეველი კაცი. ამ უთანხმოების გასასწორებლად ოზურგეთის რწმუნებულთ დეპუტაცია გაუგზავნიათ გუბერნატორთან“.

⁂ 25 თებერვალს ხაშურის რკინის გზის ორკლასიან სასწავლებელში წლიური აქტი იქმნა გამართული. როგორც სასწავლებლის ანგარიშიდგანა სჩანს, ეს სასწავლებელი აგერ მეათე წელიწადია, რაც არსებობს. სულ აქ 69 მოსწავლეს დაუმთავრებია სწავლა (17 ქალსა და 52 ვაჟს). საანგარიშო წლის დამდეგს 301 მოსწავლე ყოფილა, წლის დამლევს — 353. ამათგან 214 ქართველი, 88 რუსი, 5 მთიელი, 3 ებრაელი და 32 სხვა ეროვნებისა.

⁂ 27 იანვარს, ქუთაისში ადგილობრივ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ მუსიკალურ-დრამატიულ საღამოდგან წმინდა შემოსავალი ყოფილა 496 მან. 19 კაპ. ამ ფულით განთავისუფლებულ იქმნა სწავლის ფულის შემოტანისაგან ოცი მოსწავლე ქალი.

⁂ ტფილისის საბაქტერიოლოგიო სადგურის შესანახად 1900 წელს 1500 მანეთი იქმნა გადადებული.

⁂ გასულ თებერვალს ტფილისში 56 კაცი გამხდარა ავად გადამდებ სენით. მათ შორის, მუცლის სახადით 5, ხუნაგით 21, ყელ-ჭირვებით 16, წითელათი 9 და სხვა.

⁂ ქალაქის მოურავს უთხოვნია ტფილისის პოლიცმეისტერისათვის, რომ ნება დართოს ღარიბ დედაკაცთ პუშკინის ქუჩაზედ ხელთათმანებით და წინდებით ივაჭრონ.

⁂ სად. ყვირილა. 3 მარტს საღამოს 10 საათზე, ცეცხლი გაუჩდა და დაიწვა ვაგონი, რომელშიაც 128 ფუთი სამანუფაქტურო საქონელი იყო. საქონელი ზოგი დაიწვა და ზოგიც ცეცხლის ქრობის დროს გაფუჭდა. ეჭვი აქვთ აღებული, რომ ცეცხლი ბოროტ განზრახვით არის წაკიდებული. გამოძიება სწარმოებს.

⁂ როგორც ხაშურიდგან გვატყობინებენ, 4 მარტს, როდესაც მატარებელი № 166 მოდიოდა წიფასთან, ორთქლ-მავალზედ გაზი აენთო, რისაგანაც მემანქანის თანაშემწეს ნიკოლოზ პილიას სახე ცოტათი დაეწვა და ხელები დაუშავდა.

⁂ შაბათს, 3 მარტს, პოლიციის მე-7 ნაწილში გამოცხადდა ტფილისის მოქალაქე ვაჭარი იაკობ გულიანცი და განაცხადა, რომ მის მაღაზიაში ხოჯივანქის ქუჩაზედ დრო-გამოშვებით ვიღაც ბოროტ-განმზრახველს უპარავს სხვა-და-სხვა საქონელი და წაუღია სულ 300 მანეთის ღირებულობისა. ქურდებს მაშინვე კვალში ჩასდგომია პოლიციის მოხელე მაჭავარიანი, რომელსაც კიდეც შეუპყრია ერთი. ქურდი აღმოჩენილა რაჭის მაზრის სოფელ სომიწოს მცხოვრები ანტონ ნიკოლაშვილი, რომელსაც 150 მანეთის მოპარული ნივთები აღმოაჩნდა თურმე. ნიკოლაშვილი პასუხისგებაში იქმნა მიცემული.

თავ. რაფ. ერისთავის გვამის დაკრძალვა

(წერილი თელავიდგან)

19—25 თებერვალს

(დასასრული *)

ქისტაურის საზღვარზედ მიცვალებულს ამ სოფლის მცხოვრებნი ქალნი და კაცნი დაჰხვდნენ, ყველამ დაიჩოქა მიცვალებულის კუბოს წინ და დაიწყეს ზარით ტირილი; მოსთქვამდა ერთი შაოსანი შუახნის დედაკაცი, სხვანი ბანს ეუბნებოდნენ. სამღვდელოებამ მცირე პანაშვიდი გარდაიხადა. სიტყვა წარმოსთქვა ქისტაურის მღვდელმა მ. მენთეშაშვილმა. მენთეშაშვილის სიტყვის შემდეგ ლექსი წარმოსთქვა ახალგაზდა გლეხმა დათა ქისტაურელმა და ამას მოჰყვა ისევ ზარით ტირილი. პროცესიამ გზა განაგრძო, მხლებელნი მოსთქვამდნენ და ტიროდნენ. ასრე მიასვენეს განსვენებული ძმისწულების სახლში; აქ მცირე ხნობით შეასვენეს იმ ოთახში, რომელშიაც თურმე ყოფნა უყვარდა განსვენებულს, მცირე პანაშვიდი გარდაუხადეს და საგვარეულო სასაფლაოსკენ გაემგზავრნენ. სამგლოვიარო ეტლიდგან გვირგვინები ჩამოიღეს და რადგანაც ეტლის სიარული არ შეიძლებოდა, ყველაფერი ხელით აიტანეს. სახლიდგან სასაფლაომდის ერთი ვერსი იქნება. საზოგადოდ, ერისთავიანთ ცივ გომბორის მთა-გრეხილის ის ნაწილი უჭირავთ, სადაც ეს მთა-გრეხილი, კავკასიონის მთიდგან გამოსული, სწორდება, აქ იგი დაბალია და ჩრდილოეთისაკენ, ე. ი. ალაზნის ველისაკენ, ეშვება პატარ-პატარა გორაკებათ. ამ მთა-გრეხილის ფერდობები ამ ადგილას სულ სხვა სურათს წარმოადგენს, ვიდრე სხვაგან: აქ მთის ძირში სახნავი მინდვრებია, რომლებსაც აქა-იქ ბორცვები დაჰყურებენ და ზევით ტყით შემოსილია. აი, ერთ ამისთანა ბორცვის ზემო ნაწილი ხელის გულისავით ვაკეა და აი ამ ვაკეზედ არის აშენებული სამების ეკკლესია, რომლის იქითაც საგვარეულო სასაფლაოა მოთავსებული. ეს ამაღლებული ვაკე დაჩრდილულია დიდრონის კაკლებით. როგორც ამ ვაკის გარეშემო ნანგრევებიდგანა სჩანს, აქ საცხოვრებელი პალატები გალავნით შემოზღუდული და ციხე-კოშკი ყოფილა. თუ ცოტა წინ წასდგებით ჩრდილოეთისაკენ, აქედგან მთელი ალაზნის ველი სჩანს გაღმა-გამოღმა მატნიდამ დაწყებული თელავამდისა. საზოგადოდ მდებიარეობით ეს ვაკე შუამთის ვაკეს წააგავს, მაგრამ იმაზედ პატარაა, რადგანაც ბორცვი, რომლის თავზედაც არის ეს ამაღლებული ვაკე, შედარებით პატარაა, ვიდრე შუამთისა. მაგრამ სიმშვენიერით შუამთის ვაკეს არ ჩამოუვარდება.

აქ უკვე მომზადებული იყო საფლავი, რომლის პირადაც უკანასკნელად შეუსრულეს ყოველივე საეკლესიო წესი და მიცვალებულს გამოეთხოვნენ. საფლავზედ გამოსათხოვარი ლექსები წარმოსთქვეს: ბ-მა ე. მიქელაძემ და ფშაურ გლეხის (13 წლ.) შვილმა, ობოლმა, ავქსენტი სიდამონიძემ;—ამათ შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა მიცვალებულის სიძემ ბ-მა კახიძემ, რომელმაც თავი ვეღარ შეიმაგრა და სიტყვა ქვითინით დაათავა. ყველა ის გვირგვინები, რომლებიც ცოცხალ ყვავილებისაგან იყო გაკეთებული, საფლავზედ დასტოვეს. დაბრუნებულმა ხალხმა თავ. ნუგზარ და ნიკოლოზ ერისთავების ეზო და სახლის მოაჯირი მთლად აავსო. გლეხთა შორის იყვნენ ოსებიც, რომელთაც ამ თავადებისაგან უყიდნიათ მამული და აქვე დასახლებულან; იყვნენ აგრეთვე ზემოხოდაშნიდგან. რადგანაც ხალხი მეტად მრავალი იყო, პური რიგ-რიგად აჭამეს ყველას. გლეხებმა რომ გაათავეს, ახლა სამღვდელოება და კეთილშობილნი მიიწვიეს სახლში. მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე თუშნიცა.

მთელს ოცს ვერსზედ მიცვალებული ხალხმა ხელით აატარა და არც ერთს მათგანს დაღალულობა არ დაუჩივლია, თელავიდგან წამოსულთ პატივისმცემელთ მომატებული გზა ქვეითად გამოიარეს, თუმცა მათი ეტლები ცარიელები მოდიოდნენ; ბ-ნის კახიძის სახლიდგან დაწყობილი ვიდრე სასაფლაომდე კუბოს თავი კაკლის ხისა შიგნიდგან ცინკ გადაკრული ქალებმა ატარეს; თუმცა სამუშაო დღე იყო, მაინც მთელის კახეთის გლეხობა ათასობით ეგებებოდა. ტფილისიდგან მოსულმა მწახნაგებელმა (скульпторъ), ბ-ნმა ი. ნიკოლაძემ განსვენებულის სახის წახნაგი გააკეთა.

მართალია, თიანეთისა და თელავის მაზრების გარდა არავინ ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ სამძიმრის დეპეშები ქირისუფლებს მრავლად მოსდიოდათ. დეპეშები მოუვიდათ, მაგალითად: ონის საზოგადოებისაგან, ონის სამკითხველოს კომიტეტისაგან, გუბერნიის თ.-დ.-აზნაურთა წინამძღოლისაგან, „კვალისა“, „ივერიისა“, „Кавказъ“-ისა, „ცნობის ფურცლისა“ და „Тифл. Лист.“ რედაქციებისაგან, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთაგან, ტფილისის დრამატიულ საზოგადოებისაგან, ქუთაისისა და ტფილისის სემინარიების მოსწავლეთაგან, ვლადივოსტოკიდგან, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან, წინამძღვარიანთ კარის სკოლისაგან, ბასილეთის სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან, შემახიის ქართველებისაგან, განჯის ქართველებისაგან, გორის ქართველ საზოგადოებისაგან, ბათუმის გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან; შულავრის ქართველ საზოგადოებისაგან, ახალციხის ქართველებისაგან, ლანჩხუთის საზოგადოებისაგან, ოზურგეთის საზოგადოებისაგან, მევენახეთა საზოგადოებისაგან, ქუთაისის საზოგადოებისაგან, ტფილისის მოსამსახურეთაგან, ქუთაისის ნოქრებისაგან, ზუგდიდში მყოფ გურულებისაგან, ქუთაისის მსახიობთა გუნდისაგან, ქუთაისის ქართველ აფიცერთაგან, ქუთაისის გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან, კავკასიის რკინის გზაზედ მსახურ ქართველ მოხელეთაგან და სხვ. მრავალნი.

კერძო დეპეშები ხომ ასობით მოდიოდა, რომელთა ჩამოთვლითაც მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ; მოვიყვან შინაარს მხოლოდ რამდენისამე დეპეშისას: „ტფილისის ქართველნი მოსამსახურენი სულითა და გულით შეწუხებულნი ჩვენის დიდისა და ძვირფასის პოეტის რაფიელის გარდაცვალებით, საყვარელი სამშობლოს საერთო მწუხარებას ვიზიარებთ და ვევედრებით ღმერთს კვალად აღადგინოს საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც განსვენებულისაგან გაკვალულის გზით სიარული შეიძლონ საყოველთაო კეთილდღეობისათვის“; „რაფიელ ერისთავის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო ქართველთა და მათის ლიტერატურისათვის, არამედ მთელის კავკასიის მცხოვრებთა და მათის მწერლობისათვის. შეწუხებულნი ამ დიდის დანაკლისით ვუერთდებით საერთო მწუხარებასა და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი თანაგრძნობა, რომ ნუგეშად გვეხლომოდეს ჩვენ ყველას ის ხელთ-უქმნელი ძეგლი, რომელიც თითონ რაფიელმა შეჰქმნა და რომელიც სამარადისოდ ხავს-მოუკიდებლად დარჩება. რედაქცია „Тифлисскій Листокъ“-ისა. საყურადღებოა ისიც, რომ რაფიელის გარდაცვალებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია მცირე-წლოვან მოსწავლეთა და წერა-კითხვის მცოდნე გლეხთა შორის. პირველთაგან წარმოსთქვეს ლექსები: ბურჭულაძემ და სიდამონიძემ; მეორეთაგან: თუმანიშვილმა, ძამუკაშვილმა და ქისტაურელმა.

დასაფლავების აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი მოვალეობა სამაგალითოდ შეასრულა. ადგილობრივმა ფოტოგრაფმა ბ-ნმა ბარკალაიამ შვიდგან მოასწრო სურათის გადაღება. გასვენების დღეს რაფიელის სურათი არა გვქონდა გასასყიდი; მარტო ასი საიუბილეო წიგნი გამოეგზავნა ბ-ნს ჭიჭინაძესა და ასივე ნახევარ საათში გაიყიდა, თუმცა ეჭვი არ არის, 2000-დე წიგნი და ამდენივე სურათი გაიყიდებოდა. ახლაც წიგნების სყიდვის მსურველი მრავალია. კარგს ინებებს ბ-ნი ჭიჭინაძე რამდენსამე ასს წიგნს კიდევ გამოჰგზავნიდეს გასასყიდად.

ნადიკვრელი

წერილი დიდი-ჯიხაიშიდგან

მე იმ აზრისა სულაც არა ვარ, რომ ყოველივე სოფლის ჭირი გაზეთის ყურადღების ღირსად მიმაჩნდეს, მაგრამარც ისე გულ-გატეხილი ვარ, რომ სოფლის ცხოვრების ზოგიერთს მოვლენას საზოგადოების ყურადღების ღირსად არა ვრაცხდე. ეს მით უმეტეს ეხლა, როდესაც ჩვენი პრესსა ფართო გზას აძლევს სოფლიდგან მოწერილს ამბებს, თუ ეს ამბები სოფლის ყოფა-ცხოვრებასა და მისს ეკონომიურ ზრდა-განვითარებას ახასიათებენ. ჩვენდა სასიქადულოდ, ამ ბოლო ხანებში ზოგიერთ სოფლებს საკუთარი მემატიანენიც-კი აღმოუჩნდნენ და, ასე გასინჯეთ, ზოგიერთი მათგანი სოფლის ცხოვრების წლიურ მიმოხილვითაც არა კმაყოფილდება და მთელის ათის წლის ხანას ავლებს თვალს. სასიამოვნოცა და სასარგებლოც არის ამგვარი მოვლენა ჩვენს მწერლობაში... მაგრამ სამწუხაროა ის, რომ, მაშინ, როდესაც ერთის რომელისამე უმნიშვნელო სოფლის შესახებ თითქმის გაზეთის ყოველს მესამე-მეოთხე ნომერში ამოიკითხავთ მოწერილს ამბავს (ხშირად სულ უმნიშვნელოსაც), სხვა უფრო დაწინაურებულის სოფლის შესახებ წლიდგან წლობამდე არაფერი ისმის. მაგალითისათვის შორს არ წავალ და სოფ. დიდ-ჯიხაიშს დავასახელებ.

თამამად შემიძლიან დავიკვეხო, რომ, თუ ქუთაისის გუბერნიის რომელსამე სოფელში რაიმე საყურადღებო ცვლილება ხდება, პირველი ადგილი ამ სოფლებს შორის დიდ-ჯიხაიშს უჭირავს; მაგრამ თუ ამ სოფელში მომხდარ ეკონომიურ, თუ სოციალურ ცვლილებათა შესახებ გაზეთებში იშვიათად ამოიკითხავს რასმე კაცი, ეს ნაკლი ადგილობრივ მცხოვრებ შეგნებულ პირთა დაუდევრობას უნდა მიეწეროს.

მართალია, ამას წინად აქაურის ბანკის საქმეებისა გამო ატეხილ კამათის დროს ჩემს შენიშვნაზედ: „გაფრთხილებთ, „საგაზეთოდ“ არ გახადოთ საქმე-მეთქი“, ერთმა „მოყვაწე“ მწიგნობართაგანმა ტუჩის აბზუებით მომიგო: „ბევრს-კი დამაკლებენ, თუ გაზეთში დაჯღაბნეს რამე! შარშანაც დასწერეს, მაგრამ ჩვენთვის ყურები არავის დაუჭრიაო“! ამ გვარის შეხედულობისა ბრძანებულა ეს „განსწავლული წინამძღვარი“ მწერლობის სიტყვაზედ, მაგრამ ყველა აქაური მწიგნობარი ხომ ამ „განსწავლულის“ აზრისა არ არის! თუ არ ამას, რას უნდა მი-

---

*) იხ. „ივერია“ № 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეროს ის, რომ ეს მწიგნობრები უფრო იმასა სცდილობენ, ჩვენი სოფლის ამბები არავინ გაიგოსო და არა იმას, რომ ჩვენც გავაკებინოთ ქვეყანას ჩვენი ავ-კარგი, რომ სიკეთეში სხვებმაც წაგვბაძონ და ცუდში გაფრთხილდნენ... იქნება ვინმემ იფიქროს: „ხდება კი ამ სოფელში ისეთი ცვლილებები და ამბები, რაზედაც საქვეყნოდ ბაასი ღირსო“. ამის პასუხად კიდევ გავიმეორებ: თუ რომელსამე ჩვენს სოფელთაგანს რაიმე ეთქმის თავისს ყოფა-ცხოვრების შესახებ, მაშინ ჯიხაიშს ყველაზედ მეტი ეთქმის. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ის გარემოება, რომ ამ სოფლის შუა გულს, იქ, სადაც ბაზარია, ოთხ-კუთხი საჟენი მიწა 15 მანეთად ფასობს, ვამბობ, მარტო ეს ფაქტი ახასიათებს თვალსაჩინოდ სოფლის ეკონომიურ პირობების ცვლილებას.

დიახ, ასე საარაკოდ აიწია მიწის ღირებულობობამ ჯიხაიშის ბაზრის ახლო-მახლო და რაკი კერძო პირთათვის ამ ფასების გაღება შეუძლებელი შეიქმნა, ამ გარემოებამ ხალხს შეერთებულის ძალის მნიშვნელობა შეაგნებინა და ამ ორის თვის წინად, როცა აქ ორი ნაჭერი მიწა იყიდებოდა, სამასამდე კაცი შეერთდა და ამ მიწებში ექვსი ათას მანეთამდე ფული გაიღო იმ მოსაზრებით, რომ „მომავალი დოვლათი“ „ვიგინდარა ფულიანს“ არ ჩაეგდო ხელში. მართალია, ამ ხანად ეს ადგილი არავითარს შემოსავალს არ იძლევა (უბრალო ველია, სიმინდი რომ დათესოს, სულ დიდი 40 მან. თუ მოვა, მეტი არა), მაგრამ ხალხს სწამს, რომ ამ ადგილს მომავალი აქვს. მყიდველები წინადადებას იძლევიან, მთელმა საზოგადოებამ (1,200-მდე მეკომურია) შეისყიდოს ეს მამული იმ ფასში, რაც მყიდველთ გაუღიათ. იმედიც არის, რომ ეს ასე იქნება. ხოლო თუ ეს ასე მოხდა, მაშინ განზრახულს სასოფლო ქსენონს მტკიცე საძირკველი ჩაეყრება (ადგილი 6 ქცევაა, რაც ქსენონის გასამართავად სრულიად საკმარისი იქნება).

რა-კი სიტყვა ქსენონზედ ჩამოვაგდეთ, აქვე ჩვენი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაც უნდა მოვიგონო, ვინაიდგან ამ საამხანაგო „ბანკმაც“ მიმდინარე წლის 8 თებერვალს შემდგარი ამხანაგთა წლიური კრების დადგენილობით მეორე საღსარი გაუჩინა მომავალს ქსენონს. ეს გახლავთ ის, რომ შარშანდელი მოგებიდგან წილის პატრონებმა მხოლოდ 10% დივიდენდი უნდა მიიღონ, ხოლო დანარჩენი ფული-კი უნდა მოჰხმარდეს რამე საზოგადო საქმეს, რომლის გარდასაწყვეტადაც არჩეულ იქმნა 15 კაცისაგან შემდგარი კომისია. მართალია, კომისიას ჯერ არაფერი დაუდგენია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობა ქსენონის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაშასადამე, ისიც მეტი არ იქნება გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი ფული გადარჩება წელს 10% დივიდენდს. ამის-და სათვალისწინებლად მოვიყვან ბანკის ანგარიშს:

წარსულს წელს ამხანაგობას ჰყავდა 570-მდე წევრი. 1900 წლის ბანკის ოპერაცია ასე გამოიხატება: 1) საწევრო ფული 15,628 მან.; 2) მობარებული 8%-ანი ფული 18,582 მან.; 3) სათადარიგო თანხა 668 მან.; 4) სხვა-და-სხვა ფული 213 მან.; 5) ამხანაგობის უძრავ-მოძრავი ქონება 1,500 მან., 6) საანგარიშო წლის წარმოება 74,821 მან. და 7) წმინდა მოგება 2,428 მან. აქ მოგებიდგან რომ 10% დივიდენდი გამოვაკლოთ, დარჩება 865 მან. და 20 კაპ. აი ეს ფული რჩება და კომისიას განზრახვა აქვს იგი მკვიდრთა სხეულის სამკურნალო დაწესებულებისათვის გადასდვას. მაგრამ კომისია კარგს ინებებს, თუ სხეულის სამკურნალოსთან ერთად გონების სამკურნალოსაც არ დაივიწყებს და ჩვენს „ბედშავს“ სამკითხველოსაც მოწყალე თვალით გადახედავს.—ბოდიშს ვიხდი, რადგანაც შეიძლება ბ-ნი გამგე სამკითხველოისა გამიჯავრდეს კიდეც: „ბედშავი სამკითხველო რას მიქვიან! ჩვენი სამკითხველო თუ ბედშავი იყოს, რატომ მის ბედშავობაზედ დღემდის კრინტი არავის დაუძრავს გაზეთში, მაშინ, როდესაც ყვირილის სამკითხველომ ყვირილით გადაგვაყრუა და ლანჩხუთისამ კიდევ სული შეგვიხუთაო?“ ეს მართალია, ჯიხაიშის სამკითხველოს შესახებ ძვირი გაზეთში ჯერ არავისა ჰსმენია, რადგანაც ჩვენის ნაკლის გამჟღავნებისა გვრცხვენია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ სამკითხველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდეს.—ჩვენი სამკითხველო 1898 წელს დაარსდა. ისაც ხომ ბევრმა ვიცით, თუ როგორ დაარსდა იგი და ამ სიმპატიურს საქმეს რა აღტაცებით მიეგება საზოგადოება. ვიცით აგრეთვე, რამდენი გულ-მხურვალე მკითხველი ჰყავდა მას პირველს წელს. მერმე მოგვხედა ღმერთმა და საზოგადოების თხოვნით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ეს სამკითხველო თავისს მფარველობის ქვეშ მიიღო, დაგვინიშნა ახალი მმართველი და ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც აღგვითქვა; აღგვისრულა კიდეც დანაპირები. ვიფიქრეთ, რაღა გვიშავს, სამკითხველოს ახალი მმართველი ჰყავს, ახალი მეპატრონე-მფარველიც აღმოუჩნდა; უეჭველია, მისი საქმე წინ წავაო, მაგრამ თუ რამდენად გამართლდა ეს ჩვენი იმედები, ამ ზაფხულს კრებისადმი უკვე მოხსენებულმა სარევიზიო შენიშვნებმა კარგად დაგვანახვა *). არა, ბატონებო! მარტო ის როდი კმარა, რომ წიგნები ნაქირავებს თბილს ოთახში მოვათავსოთ: დეე, მკითხველს შესცივდეს, ოღონდ გული სამკითხველოში შესვლამ გაუთბოს... მაგრამ მეც რაღა ამ სამკითხველოზე გავაჰიანურე სიტყვა! განა ჩვენი სხვა საზოგადო საქმეები-კი არ ექვემდებარებიან განქიქების კანონს!! იცოცხლეთ, იქაც ბევრია სავარამო თვალ მარგალიტი“, რომელსაც თავის დროზედ ამოუკრეფავ, თუ გარემოებამ ხელი შემიწყო და რედაქციამ თავისუფლად კარი გამიღო. მაგრამ ყველა ჩვენი ჰირვარამი ერთს წერილში ხომ ვერ მოთავსდება? ამ ჟამად-კი ორიოდე სიტყვა ჩვენის სოფლის მიცვალებულთა შესახებაც, თორემ მარტოდ ცოცხლებზედ ლაპარაკი ამათაც ეწყინებათ. არ გაგიკვირდეს-კი, მკითხველო, ჯიხაიშელებს მიცვალებულებიც არ დაჰვიწყებიათ, ე. ი. ჭირისუფლები მიცვალებულებისა, თორემ გარდაცვლილთ ხომ სიცოცხლე და ცხოვრება თითონ ივიწყებს! მაშ მოგახსენებთ: შარშან მაისში აქ დაარსდა სამარხი კასსა, ე. ი. კასსა, რომელიც მიცვალებულის ჭირისუფალს შემწეობას აძლევს, თუ მიცვალებული წევრი იყო კასსისა.

კასსის წესდებით, ყოველ წევრს კასსაში შეაქვს თავდაპირველად 3 მ. და 25 კაპ., ამ ფულიდგან 2 მან. სათადარიგო თანხად ინახება, 25 კ. კიდევ საქმის საწარმოებელია, ხოლო 1 მან. „გადასაბურავი“ ფული. როდესაც წევრი გარდაიცვლება, გამგეობა 24 საათის განმავლობაში აძლევს მის ჭირისუფალს იმდენს მანეთს, რამდენი წევრიც კასსაში ირიცხება და ამ ამბავს მაშინვე დანარჩენს წევრებს აცნობებს, რომ ორის კვირის განმავლობაში 1 მან. და 25 კ. კიდევ შემოიტანონ გაცემულ თანხის შესავსებლად. 25 იანვარს პირველად გასცა კასსამ 160 მანეთი ერთის გარდაცვლილის წევრის ჭირისუფალზედ. ამ დაწესებულებას მეორე კარგი მხარეცა აქვს. თუ მართალია თქმულება: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, ამ კასის წევრს იშვიათად უნდა შეემთხვეს ფათერაკი, რადგანაც ყველა წევრები თავის ჯიბით დაინტერესებულნი არიან, ერთმანერთის ჯანმრთელობას გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს: რომელიმე მათგანი რომ ავად გახდეს, სხვები გულმხურვალედ გაიძახიან: „ღმერთო, უშველე, ღმერთო, ნურას გაუჭირვებო!“ სასაცილოა, მაგრამ სასიხარულოც არის: დაე, ილოცონ, ილოცონ ერთმანერთისათვის! იქმნება ამან მაინც არის გაგვივითაროს საზოგადოებრივი თვით-შეგნება.

პ—პე ლ—ძე

---

*) თუ საჭირო იქნება, ამ შენიშვნებსაც გამოვაქვეყნებთ. ავტ.

◆ ◆

რუსეთი

რუსთა შესანიშნავი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად განკურნებულა ავადმყოფობისაგან. 28 თებერვალს ლ. ტოლსტოი სახლიდგანაც-კი გასულა სასეირნოდ. ამ ჟამად ტოლსტოი ახლა ბელეტრისტულ თხზულებას ადგენს თურმე.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ახალი საფოსტო მარკები იქმნას შემოღებული. ახალი მარკა შვიდის ნაცვლად ექვს კაპეიკად ეღირება.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს რუსეთის იმ ადგილებში, სადაც ნავოსნობაა გავრცელებული, დაარსოს ზედამხედველი კომიტეტები, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ნავოსნობის საქმეს.

— 6 მარტს მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ სამეურნეო საბჭოს სესია გაიხსნება. სესიას განსახილველად ექმნება, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: პურის ვაჭრობის მოწესრიგება, მეურნეთათვის პრემიების მიცემა, სამეურნეო გამოფენათა შესახებ ნორმალურ წესდების გამოცემა და სხვანი. კრებაზედ მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე 15 მეურნე, რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოსულნი.

— ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს შემოიღოს მაგარ სასმელთა მონოპოლია, სხვათა შორის, დაღისტნის ოლქშიაც 1902 წლის 1-ლ ივლისიდგან.

◆ ◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ნეაპოლიდგან იუწყებიან, რომ ინგლისელებს ამ დღეებში ანტვერპენიდგან 500 იტალიელი კიდევ გაუგზავნიათ ინგლისში, ვითომდა სამხრეთს აფრიკაში დასასახლებლად, მაგრამ ტყუილი მოჩვენებაა ეს: „იტალიელებს ინგლისის ჯარის მისაშველებლად ჰგზავნიან და არა ადგილობრივ დასასახლებლად.

— დეპუტატმა ლაბუშერმა ამომრჩევლების წინაშე სოუტ-გამპტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ტრანსვაალის ომი საშინლად გაჰკიცხა. ინგლისის ერი მხოლოდ ეხლა-ღა მიჰხვდა, თუ რა უბრალოდ დაჰკარგა ესოდენი ფული და ხალხი. დეპუტატმა გამოსთქვა აზრი, რომ მთავრობა უთუოდ დამხობოდა, ეხლა რომ საზოგადო არჩევნები იყოსო.

— თებერვლის განმავლობაში სამხრეთს აფრიკაში ინგლისელებისათვის ბურებს მოუკლავთ 95 ოფიცერი და 2,274 ჯარის-კაცი. ამას იუწყება ინგლისისავე „War Office“.

— ინგლისური გაზეთები კიდევ იუწყებიან ზოგიერთს დაწვრილებითს ცნობას იმის შესახებ, თუ დევეტი ინგლისელებს როგორ გაუსხლტა ამ ბოლოს დროს და მდინარე ორანჟეს როგორ გავიდა. როგორც-კი შეუტყვიათ, რომ დევეტი აღმოსავლეთისაკენ მიდისო, ინგლისის მთავარს შტაბს მაშინვე ბრძანება მიუცია პოლკოვნიკის ბინგისათვის, რომ თავისის ჯარით გამილფონტეინისაკენ წასულიყო და დევეტისათვის გზა შეეკრა. ბინგმა ბრძანება შეასრულა, მაგრამ დევეტმა მაშინვე მიმართულება გამოიცვალა და ორანჟეს მდინარესთან მივიდა სწორედ იმ ადგილას, სადაც მას კოლსბერგიდგან მიმავალი გზა სჭრის. ბინგის ადგილიდგან დაძვრის გამო, რომ დევეტისათვის გზა გადაეღობნა, ეს ნაპირი მდინარისა სწორედ ამ დროს გაუმაგრებელი დარჩა. ბინგმა თავისი შეცდომა მალე დაინახა, მაგრამ უკან დაბრუნება მხოლოდ დღედამის შემდეგ და შეეძლო, რა ხნის განმავლობაშიაც დევეტი უკვე მშვიდობიანად მდინარის მეორე ნაპირზედ გადვიდოდა. ამის გამო უკან მობრუნებულმა ბინგის ჯარმა იმას-ღა მოუსწრო, რომ თვალი მოჰკრა დევეტის უკანასკნელი წყობა ჯარისა როგორ გადიოდა გაღმა.

ამ შეთხვევის გამო ინგლისის ყველა გაზეთები ერთხელ კიდევ მწუხარე აღტაცებით იხსენიებენ სამხედრო გენიოსობას „შავის ქრისტიანესას“, რომელმაც ასე უცბადა და ადვილად მოახერხა ინგლისელების გაბრიყვება და მდინარე ორანჟეს გაღმა გასვლა.

ინგლისი. ცნობილი „ისტორიული“ სხდომა საზოგადოებათა პალატისა, რომელზედაც გარდასწყვიტეს დეპუტატთა გამორიცხვის შესახებ არსებული მუხლი წესდებისა შეეცვალათ, ირლანდიელ დეპუტატის დილლონის სიტყვით დაიწყო. დილლონმა წინააღმდეგობა განაცხადა იმისა გამო, რომ სხდომათა დარბაზში პოლიციის ძალა იხმარეს:

„იცით თუ არა, ნეტა, რომ ოლივერ კრომველის შემდეგ სხდომათა დარბაზში პოლიცია აღარასოდეს არ შემოსულა, რომ დეპუტატები გაეყვანათ? ვისის ბრძანებით მოხდა ეს? პოლიციელებს ვინ უბრძანებდა? — იკითხა დილლონმა. — „პოლიცია ჩემის ბრძანებით შემოვიდაო, — უპასუხა სპიკერმა (ტაშის ცემა ისმის). უფროსობდა და უბრძანებდა ინსპექტორი სკანტლებიური (სიცილი და ტაშის კვრავე ისმის). რაც შეეხება ისტორიულს მხარეს თქვენის კითხვისას, ამისი გამოკვლევა-კი არ შემიძლიან, რადგანაც თავისუფალი დრო არა მაქვს“ — (სიცილი). შემდეგ დილლონმა წინააღმდეგობა განუცხადა მთავრობას იმისა გამო, რომ კაპიტანი ჯორდანი პალატიდგან იქმნა გარიცხული, ე. ი. კაცი, რომელსაც ირლანდიელების მიერ მომხდარს ობსტრუქციაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. კომიტეტის ჩერმანმაც განაცხადა თავისს მხრივ, რომ მიუღია წერილი, რომელშიაც ჯორდანი აუწყებს — უთუოდ შეცდომით ვარ გარიცხულ დეპუტატთა სიაში შეტანილიო. „ამ წერილის შემდეგ მართლაც იმის თქმა-ღა შემიძლიან, რომ უთუოდ შევცდიო, — სთქვა ჩერმანმა (ტაშის კვრა ისმის); ამიტომ წინააღმდეგი სრულიად არა მაქვს-რა, რომ პატივცემული დეპუტატი პალატას კვლავ დაუბრუნდეს (ტაშის ცემა ისმის). ვფიქრობ, რომ მართლაც შევცდი უთუოდ და ძლიერაცა ვწუხვარ ამ შეცდომასა. ბოდიშს ვიხდი როგორც საზოგადოებათა პალატისა, ისე თითონ პატივცემულ დეპუტატის წინაშე, რომელმაც ჩემის მიზეზით ამოდენა უსიამოვნება გამოიარა“ (პალატა ჩერმანს ამის გამო დიდის აღტაცებით მიეგება). ამის შემდეგ წინადადება შეიტანა ბალფურმა, რომ დეპუტატები, რომლებიც სპიკერის ბრძანებას არ დაემორჩილებიან, მთელის სესსიის განმავლობაში პალატიდგან გარიცხულ იქმნენ. ოპპოზიციის ხელმძღვანელმა კემპბელ-ბანნერმანმა თანხმობა განაცხადა, რომ ურჩ დეპუტატების წინააღმდეგ სასტიკი საშუალებანი იქმნეს ხოლმე მიღებული, მაგრამ ამავე დროს ბალფურს უსაყვედურა, რომ ვიდრე ამ გარდაწყვეტილებას მიიღებდა, რომელიც ყველა დასებს ერთნაირად შეეხება, მას არ დაეკითხა; ბანნერმანმა ამის შემდეგ წინადადება შეიტანა ბალფურის წინადადების შესაცვლელად, რომ გარიცხულ იქმნენ ხოლმე მხოლოდ ის დეპუტატები, რომლებიც სპიკერის მიერ მოწვეულს პოლიციას წინააღმდეგობას გაუწევენ. ბალფური ამ ცვლილებაზედ დასთანხმდა. ირლანდიელთა მეთაურმა დეპუტატმა ჯონ რედმონდმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ბალფურმა უთუოდ ჩვენ, ირლანდიელთა, წინააღმდეგ შეიტანა ეს წინადადება და უნდათ პირი როგორმე დაგვიხშონო. ამისათვის ირლანდიელები თავისს ასეთს შევიწროვებას დიდ პატივად სთვლიან და იხელმძღვანელებენ მხოლოდ იმით, რაც ირლანდიის სასარგებლო იქნება; ინგლისელ დეპუტატების აზრს არავითარს ყურადღებას არ მიაქცევენო. ამის შესახებ ბალფურმა უპასუხა: „იმ სიტყვის პასუხად, რომელიც ეს არის მოვისმინეთ, მხოლოდ ის რა შემიძლიან გსთქვა: „შევიწროვებულ ეროვნების“ წარმომადგენელთ მთელის სესსიის მეოთხედი დრო დაუთმოთ და 15 დღის განმავლობაში ოთხმოცდა ოთხი სიტყვა წარმოსთქვეს. ნუ თუ ამას ეძახიან პირის დაცობას (სიცილი), რომელიც პატივცემულმა დეპუტატმა დაასახელა. რაც შეეხება მისს უკანასკნელს განცხადებას, ეს კი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ჩემი წინადადება მართლაც საჭირო და აუცილებელია (ტაშს უკვრენ). ამის შემდეგ კიდევ რამდენმამე სხვა ორატორმა ილაპარაკა, რომელთაგანაც ერთმა ურჩია ურჩი დეპუტატები დაეპატიმრათ ხოლმე, მაგრამ ეს წინადადება უარ-ყოფილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა. ბალფურის წინადადება მიღებულ იქმნა 264 ხმის უმეტესობის წინააღმდეგ 51 ხმისა.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებული ამბები.

28 თებერვალს 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსულ გაზეთის „Новое Время“-ს რედაქტორ-გამომცემლად სუვორინია. ამის გამო ხსენებულ გაზეთში მრავალი საყურადღებო ცნობები დაიბეჭდა გაზეთის გამოცემის შესახებ. პირველ წელიწადს, ე. ი. 1876 წელს, როდესაც გაზეთი სუვორინმა შეიძინა, სულ 1,562 ხელის-მომწერი ჰყავნდა. დღეს-კი 37,112 ხელის მომწერი ჰყავს და ამას გარდა ყოველდღე ცალკე ნომრებად იყიდება 15,000 ცალი. იბეჭდება სულ დღეში 60,000 ცალი. გაზეთის საბეჭდავად სამი საუკეთესო და უზარმაზარი მსწრაფლმბეჭდავი მანქანა აქვთ სტამბაში, ერთი მანქანა საათში 40,000 ფურცელსა ჰბეჭდავს და ჰკეცავს. 1879 წელს დაიბეჭდა სულ 6,876,342 ცალი, 1900 წელს-კი—19,219,397 ცალი. ოცდა ხუთის წლის განმავლობაში გაზეთისა გამოუციათ სულ 260,993,352 ცალი. დაიხარჯა 1879 წელს: სტამბაზედ—56,880 მანეთი, თანამშრომლებზედ—102,445 მანეთი, ქაღალდი მოუნდა—99,257 მან., ფოსტას—29,492 მანეთი, სხვა ხარჯი—12,392; 1900 წელს-კი: სტამბა—259,032 მ., თანამშრომლებს—561,751 მ., ქაღალდი—330,576 მ., ფოსტა—112,370 მ., სხვა ხარჯი—44,503 მ., სულ 25 წლის განმავლობაში გაზეთს დაუხარჯნია 16 მილიონი მანეთი. ქაღალდი აუარებელი უნდება გაზეთს, წელიწადში—81,849 ფუთი. სიგრძეზედ ფურცლობით რომ გაეწყოს ეს ქაღალდი, დაიჭერს 22,779 ვერსტს. ხოლო ის ქაღალდი, რაც 25 წლის განმავლობაში გაზეთს დასჭირდა, დაიჭერს 400,000 ვერსტს. თუ რამდენად დიდი მანძილია ეს, მკითხველს იქიდგან შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ დედამიწიდგან მთვარემდე მხოლოდ 360,000 ვერსტია.

თანამშრომელნიც ბევრი ჰყავს გაზეთს. შარშანა ჰყვანდა: რედაქციის წევრნი, რომელთაც გარდაწყვეტილი ჯამაგირი ეძლევათ,—67 კაცი და 832 კაციც გარეშე თანამშრომელი, რომელთაც სტრიქონობის კვალობაზედ ეძლეოდათ სასყიდელი. ამას გარდა გაზეთსა ჰყავს 11 კორექტორი; საკუთარს სტამბაში მუშაობს: 6—მეტრანპაჟი, 8—მეტრანპაჟის თანაშემწე, 65 ასოთ ამწყობი, 5 შეგირდი, 4—სხვა მომუშავე, 8—სტერეოტიპერი. სტამბის გარდა გაზეთსა აქვს: წიგნის საწყობი და მაღაზია, ლიტოგრაფია, ფოტოგრაფია, ცინკოგრაფია, სასტერეოტიპო, ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა, მანქანების საწყობი, საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოები.

1884 წლიდგან სტამბასთან არსებობს ბეჭდვითი საქმის სკოლა. კურსი ამ სკოლაში ოთხი წელიწადია. სკოლაში ასწავლიან: სასტამბო საქმეს (თეორია და პრაქტიკა), სამღვთო წერილს, რუსულსა, ფრანგულსა და ნემეცურს ენებს, ანგარიშს, გეოგრაფიას, რუსეთის ისტორიას, ხაზვას და სუფთა-წერას. სწავლობს ყოველ წელს სკოლაში 40 კაცი; სულ კი დაარსებიდგან უსწავლია იქ 205 კაცს. სტამბასთანავე გაზეთის გამომცემლის ხარჯით არსებობს შემნახველ-გამსესხებელი კასსა და სტამბასა, წიგნის მაღაზიასა და გაზეთის კანტორაში მოსამსახურეთა ურთ-ერთ დამხმარებელი ამხანაგობა. წელიწადში კასსა 53,845 მანეთს ატრიალებს. სტამბასთანვე არსებობს სამარხი კასსა, რომლის წევრებადაც ითვლებიან მოსამსახურენი და მათი მახლობელი ნათესავნი.

სტამბასა, წიგნის სალაზიასა და გაზეთის მთავარ კანტორაში მოსამსახურეთათვის 1891 წელს სტამბის მახლობლად დაარსებულ იქმნა საავადმყოფო, სადაც მკურნალი და ფერშალია. სამკურნალო წამლები ყველა მოსამსახურეს სტამბის ხარჯით ეძლევა. მუშებისათვის საერთო საცხოვრებელია გამართული. სტამბასთანავე რამდენიმე წელიწადია არსებობს წიგნთ-საცავი; საიდგანაც მოსამსახურეებს უსასყიდლოდ ეძლევათ წიგნები წასაკითხად.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი.

პეტერბურგი. 3 მარტს უნივერსიტეტსა, დედათა სამკურნალო ინსტიტუტსა და ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში გარდახდილ იქმნა პანაშვიდები ახლად გარდაცვალებულის საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა, ბროდრიკის გეგმის თანახმად, ჯარის საზოგადო რიცხვისა და მომატებულ ჯარისათვის საჭირო ხარჯის პროექტი. ამ პროექტის დაწვრილებითი განხილვა გადაიდვა სხვა დროისათვის.

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად, თუმცა პირდაპირ-კი არა, სცნეს სამხრეთ-აფრიკის ორივე რესპუბლიკა ინგლისთან შეერთებულად. ეს აზრი გამოთქმულია შტატების საზღვარ-გარედ ვაჭრობის მიმოხილვაში. ამ მიმოხილვას გარეშე საქმეთა სამინისტრო ყოველ წელს ჰბეჭდავს.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, რომ პოლკოვნიკ პარკერის რაზმი, ლეიდენბურგიდგან გასული, მოულოდნელად თავს დაესხა ბურების ბანაკს კრიუგერსპორტთან და აიღო ეს ბანაკიო; ერთი ბური მოჰკლეს, ხუთი დასჭრეს და 32 ტყვედ წაიყვანეს. ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს ბევრი საქონელი და პური. ინგლისელებს ერთი მოუკლეს და 4 დაუჭრეს.

ფილიპპოპოლი. კონსტანტინეპოლის ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა სთხოვა ქიირში გაქცეულს დამად-მაჰმუდ-ფაშას — ითავოს და მოიწვიოს საერთო კრებაზე უკმაყოფილო ახალგაზდა ოსმალნი, სომეხნი და მაკედონელნი.

პეტერბურგი. 3 მარტს საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალნი იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე.

3 მარტს გამოასვენეს ადმირალ პერელეშინის გვამი. გამოსვენებას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და დიდნი მთავარნი.

ბელგრადი. საიმპერატორო თეატრების არტისტის იუჟინის (თავ. სუმბათაშვილი) წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრება აღტაცებით. ყველა გაზეთები იუჟინის წარმოდგენებით აღტაცებულნი არიან. მეფემ უბოძა იუჟინს სავვას დიდი ჯვრის ორდენი.

4 მარტი.

პეტერბურგი. „ვესტ. ფინანს.“-ში დაიბეჭდა წერილი შესახებ წერილისა „ემზადება თუ არა რუსეთი სავაჭრო ხელშეკრულებათათვის“, რომელმაც მთელი გერმანია აალაპარაკა. წერილი ასე თავდება: „ყოველ სახელმწიფოს სრული ხელ-შეუხებელი უფლება აქვს შინაური ეკონომიური პოლიტიკა ისე წარმართოს, როგორც ამას მოითხოვს თავისი ხალხის სარგებლობა-საჭიროებანი. რუსეთის ფინანსთა სამინისტროსათვის ისევე უცხო და შეუფერებელია ის აზრი, ვითომ რუსეთს ჰსურდეს ჩაერიოს გერმანიის შინაურ საქმეებში, როგორადაც უცხო და შეუფერებელია ის, რომ გერმანიას მისცეს ნება ჩაერიოს რუსეთის საქმეებში; მაგრამ მას არ შეუძლიან სახეში არ იქონიოს, რომ, როცა რომელსამე სახელმწიფოს ჰსურს ეკონომიურ ავტონომიას დაუბრუნდეს, მაშინ საძნელოა დაარსება ან განახლება სავაჭრო-სატარიფო შეთანხმებისა, რომელთა მიზანიც ის არის, რომ მონაწილე სახელმწიფონი სთმობენ ნაწილს ავტონომიისას და საერთო სარგებლობისათვის აარსებენ ურთ-ერთ შორის ზოგიერთ ეკონომიურ მოვალეობას. სწორედ ამ პრინციპზეა დამყარებული რუსეთ-გერმანიის შორის 1894 წელს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებამ თანასწორობა დაამყარა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, და, თუ ახლაც აღიძვრა კითხვა ამ ხელშეკრულობის განახლების შესახებ, რუსეთი მტკიცედ დაიცავს ამ პრინციპს მოლაპარაკების დროს. რუსეთის უმთავრეს ნაწარმოებზე მომატებულის ბაჟის გაწერა ძირითადათ არღვევს 1894 წლის ხელშეკრულობათა პირობებს. უეჭველივე ნაბიჯი გერმანიისა ავტონომიის გაფართოების გზაზე გამოიწვევს ასეთსავე მოქმედებას რუსეთის მხრივ. ამას რუსეთი იმიტომ-კი არ იზამს, რომ იგი მოტრფიალეა ძალმომრეობისა, ან ჰსურდეს მოწინააღმდეგის გაგულისება, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ უფლებათა სასწორის უღელს მისცეს თანასწორობა. უეჭველ ასეთ შემთხვევაში რუსეთი იხელმძღვანელებს იმ მოსაზრებით, რომ 1) გააქარწყლოს გერმანიისაგან შემოღებული დამატებითი ბაჟის მოქმედება იმ ეროვნულ ნაწარმოებზე, რომლის წინააღმდეგაც იქმნება მიმართული გერმანიისაგან შემოღებული ბაჟი და 2) მოუპოვოს რუსეთიდან გატანილ საქონელს კომპენსაცია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მოუტანს რუსეთის მრეწველობას გერმანიის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ამას-კი რუსეთი მიაღწევს იმით, რომ გააფართოვებს სავაჭრო აღებ-მიცემობას იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც შეღავათს მისცემენ რუსეთიდან გატანილ საქონელს თავისს ბაზრებზე და ამით თვითონაც მიიღებენ ასეთსავე შეღავათს რუსეთის ბაზრებზე“.

გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც იმიერ კასპიის ოლქი ჩამოერთვა საქართველოს ეპარქიას და შეუერთდა თურქესტანისას.

პარიჟი. დუელმა, რომელიც ჰქონდათ „ფიგარო“-ს რედაქტორს კასტელანსა და დეროლეს, უკანასკნელი დაიჭრა ტყვიით მარჯვენა თეძოში.

ლონდონი. კიტჩენერის მიერ პრეტორიიდგან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია კიდევე, რომ პარკერის რაზმმა ლეიდენბურგიდგან თან მოიყვანა ადელ ერაზმუსი ოჯახობითაო.

პორტსმუტი. კორნუელისა და იორკის ჰერცოგები მეუღლეებითურთ გემით ახალშენში წავიდნენ.

5 მარტი

პეტერბურგი. 4 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული დანიაში წაბრძანდა.

4 მარტს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული საცხოვრებლად ცარსკოე სელოში გადავიდნენ.

დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული დიდის მთავრინა ელენე ვლადიმირის ასულითურთ საზღვარ-გარეთ წავიდნენ.

ჩერნიგოვისა, ოდესსისა, ასტრახანისა, ვლადიმირისა და კიევიდგან დეპეშებია მიღებული, რომ საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის სულის მოსახსენებლად პანაშვიდები გარდავიხადეთო.

პეკინი. უცხო ქვეყნელ ელჩთა კრებაზედ კვლავ განხილულ იქმნა პროვინციის მოხელეთა დასჯის საქმე რუსეთის ელჩმა გარდაწყვეტილი უარი განაცხადა, რომ ამ მოხელეთა დასჯა იქმნას მოთხოვნილი.

ვენა. რუსეთის ელჩს სადილი ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ გარეშე საქმეთა მინისტრი გოლუხოვსკი და სხვანი.

◆

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „სპარტაკი“, ისტორიული რომანი ჯიოვანიოლისა, თარგმნილი და გამოცემული ნინო ყიფიანის მიერ. წიგნი კარგად არის გამოცემული, შეიცავს 569 გვერდს და ღირს მეტად იაფად, 60 კაპეიკად.

◆

შემოწირულება

რედაქციამ მიიღო ბ-ნ გ. ბეჟანიშვილისაგან ას ორმოც და ხუთი მანეთი (145 მ.). ეს ფული ქუთაისში შეუკრებიათ თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის სასარგებლოდ იმ გვირგვინების ნაცვლად, რომელნიც განსვენებულის კუბოს შესამკობად უნდა გაეგზავნათ. შემომწირველთა სია: გ. დ. ქორქაშვილი 1 მ., პ. ქორქაშვილი 1 მან., პ. ჯავრიშვილი 1 მ., დ. ბ. ჩხეიძე 1 მ., გ. ბერძენიშვილი 1 მ., ნ. ზ. ბადრიძე 1 მ., ივ. დ. ბექაია 1 მ., მ. ნ. ქუთათელაძე 1 მ., პ. ალ. თუმანიშვილი 25 მან., ეგ. ფ.—ვა—50 კაპ., კ. ბეთანიშვილი 1 მ., პ. მოსეშვილი 1 მ., ივ. ჯაიანი 1 მ., ი. მესხი 50 კ., ილ. მიქელაძე 1 მ., ონ. სვანიძე 1 მ., ელ. ქაჯაია 1 მ., დ. ნ. ჩიკვაიძე 1 მ., სოლ. ხახუაშვილი 1 მ., თავ. ირ. იაშვილი 1 მ., ანტონ მეფისაშვილი 1 მ., ბ. ბებურიშვილი 1 მ., ნესტ. ერისთავი 1 მ., დათ. ავალიანი—50 კ., მიტ. ლადიძე 1 მ., კირ. ჩინძალაძე 1 მ., ალ. კოსტავა 1 მ., ივ. კოკოჩაშვილი 1 მ., ნიკ. ჯანელიძე 1 მ., სამ. ბოკერია 50 კაპ., დიმ. ბოკერია—50 კაპ., ბეს. გაბუნია—50 კაპ., ალ-დ. ახვლედიანი—40 კაპ., ერმილე ასათიანი 1 მ., სავაჭრო სახლი პეტ. ოცხელისა შვილებითურთ 1 მ., გ. კემულარია 1 მ., ს. პასიკაშვილი—50 კ., დიმ. ბახტაძე 1 მან., ფარ. გაბუნია 1 მ., სტ. ფეიქაროვა 1 მან., თავ. ნ. ჩიჩუა 1 მან., გ. რ. გოცირიძე 1 მან., ალ. მ. გაბაშვილი 1 მ., დ. გ. ხმალაძე 1 მან., ანთ. კორკაძე 1 მ., რაფ. ჩიხლაძე 1 მან., კონ. აბდუშელიშვილი 1 მან., კალ. მესხი—50 კაპ., სერ. ერისთავი 50 კაპ., პროკ. მესხი 50 კაპ., პეტ. მიქელაძე 50 კაპ., გიორგი იოსელიანი 50 კაპ., ნიკო ფალავა 50 კ., თავ. გ. ჩხეიძე 1 მ., ისიდორე აბზიანიძე 50 კ., არჩ. ელ. მაჭავარიანი 50 კ., იგ. ის. პურადაშვილი 3 მ., თავ. სვიმ. ერისთავი 2 მ., თავ. გარდ. ერისთავი 3 მ., თემურაზ აგიაშვილი 2 მ., უცნობისაგან 25 მ., თეოფ. ხუსკივაძე 1 მ., ნესტ. მესხი 1 მ., გარდ. ფურცელაძე 1 მ., პ. აბაშიძე 55 კ., გარდ. ბასტაძე 50 კ., კ. ჭ-ძე 20 კ., ირ. მიქაძე 1 მ., ზაქ. მ. გაბაშვილი 1 მან., გარდ. გაბიჩვაძე 1 მ., კორნ. ჭულელი 1 მ., თ. გარ. მიქელაძე 1 მ., შალვა დადიანი 1 მ., დიმიტრი რუხაძე 1 მ., ილ. მატარაძე 1 მ., ნიკოლ. მესხი 1 მან., ბაკურაძე 50 კ., ნიკ. ჩიკვაიძე 1 მ., ქუთაისის წიგნის გამომცემელი ამხანაგობა 10 მ., ნ. და გ. ბეჟანიშვილი 5 მ., ხარ. ფახულია 1 მ., ალ. არაბიძე 1 მ., ვან. აბაშიძე 1 მ., ანტ. ქურციკიძე 1 მ., კორნ. მაღრაძე 1 მ., მ. აფაქიძე 50 კ., მ. კაკაბაძე 50 კ., იას. კოკვაძე 1 მ.; № № 1 მ., გიორგი გაბაშვილი 1 მ., ილ. დუგლაძისა 50 კ., სამ. კილაძე 1 მ., ივ. ნიჟარაძე 1 მ., ერ. თუთბერიძე 1 მ., მ. ჩაკვეტაძე 1 მ., ალ. ჭყეტია 1 მან., № № 35 კ., იოსებ ბაქრაძე 1 მან., ბიძ. მიქელაძე 1 მ., გიორგი ზდანოვიჩი 5 მ., ალექსანდრე თ. ნანეიშვილი 3 მან. სულ შესდგა 163 მ. 50 კაპ. დაიხარჯა ორის დეპეშის გაგზავნისა, პანაშვიდის დროს სანთლებისა და ფულის გაგზავნაზედ—18 მ. 50 კ. დარჩა 145 მანეთი.

◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გასახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

6 მარტი.

მიხეილ ცინცაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-354 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

— ივლიტე ყიფიანისა, სასჯ. დებ მე-1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

ლევან ბერაძისა და სხვ., რომელთაც ყაჩაღად გავარდნა ედებათ ბრალად.

სოლომონ და სხვა ორჯონიკიძეებისა და შოშიტაიშვილისა, რომელთაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდგან 50,000 მანეთის მოპარვა ბრალდებათ.

ივლიანე მგელაძისა—სასჯ. დებ. მე-294 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

◆

განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საწყობში იყიდება
ცელიულიარული
გრენა (თესლი)
ფრანგულისა, იტალიურისა და ბაღდადურის ჯიშისა. (3—58—1)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საწყობში იყიდება
ნერგები
ვაშლისა, მსხლისა, კაკლისა, ალუბლისა და სხვანი საუკეთესო ხარისხისა. ფასები ზომიერია.
(3—57—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.